Diana Tkebuchava
https://orcid.org/0000-0002-4337-3259
Academic Research Coordinator,
BRAMS Institute

Thomas Paine and the Pain of Common Sense

(Abstract)

KEYWORDS: Spiral of Silence, Common Sense, Treaty of Paris, Doctrine of Reconciliation, Independence, United States (USA)

An English-born American Founding Father, author and revolutionary, Thomas Paine argued that if every man possessed a pure and inviolable conscience and if everyone accepted its judgments without hesitation, legislation would be unnecessary. This enduring idea, articulated in *Rights of Man*, is offered as a rejoinder to Edmund Burke's *Reflections on the Revolution in France*. The two writers present contrasting interpretations of the events that culminated in the Treaty of Paris (1783) and the end of the war between the United States and Great Britain.

Edmund Burke is credited with popularising the phrase "Fourth Estate" to denote the press. Thomas Paine's *Common Sense* demonstrates how the written word, deployed at the right moment and in the appropriate context, can shape public opinion and bring about profound change.

The fifteen years between the publication of *Common Sense* and *Rights of Man* trace Paine's evolution from a provincial English youth of unremarkable background into a central political figure in American history. After two failed marriages and a

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

succession of unsatisfactory employments, Paine moved to London, where the mathematician George Lewis Scott introduced him to Benjamin Franklin. With Franklin's support and letters of recommendation, Paine emigrated to America in 1774.

For eighteen months, Paine edited the *Pennsylvania Magazine* in Philadelphia and became deeply enmeshed in the volatile politics of revolutionary America. On 10 January 1776, *Common Sense* was published; in it, the man often dubbed the "Father of the American Revolution" argued that America's cause should be framed not merely as resistance to taxation but as a demand for independence. His fifty-page pamphlet sold an estimated 500,000 copies and was a financial success; Paine relinquished his share of the profits to support the American army.

Common Sense exposed a stark truth: the doctrine of reconciliation was untenable, tantamount to death. Paine also declared that "the cause of America is, in a great measure, the cause of all mankind." For more than two centuries, the United States has profoundly assimilated Paine's idea, carrying it through successive international and domestic political endeavours.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

დიანა ტყებუჩავა
https://orcid.org/0000-0002-4337-3259
აკადემიური კვლევების კოორდინატორი,
ბრამსის ინსტიტუტი

საღი აზრის „ტკივილი“ თომას პეინისეულად

საკვანძო სიტყვები: საღი აზრი, პარიზის ზავი, „შერიგების დოქტრონა“, დამოუკიდებლობა, აშშ

„ადამიანის სინდისი სუფთა და აუმღვრეველი რომ ყოფილიყო და მის გადაწყვეტილებებს ყველა უყოყმანოდ დამორჩილებოდა, მაშინ მას სხვა კანონმდებელი არც დასჭირდებოდა“, წერდა ერთ-ერთი დამფუძნებელი მამა თომას პეინი თავის უმთავრეს გამოკვლევაში „ადამიანის უფლებები“,[1] 1790 წელს ლონდონში ინგლისელი პარლამენტარის ედმუნდ ბერკის მიერ გამოცემული წიგნის — „ფიქრები საფრანგეთის რევოლუციაზე“,[2] პასუხად. ეს ორი ავტორი რადიკალურად განსხვავებული პოზიციიდან[3] შეაფასებს მოვლენებს,[4] რომელთა სათავეებთან თომას პეინიც იდგა, 1783 წლის პარიზის ზავითა და ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს შორის ომის[5] დასრულებით რომ დაგვირგვინდა.

„შერიგების დოქტრინის“[6] კატეგორიული მოწინააღმდეგე თომას პეინი წერდა: „მმართველობის ინგლისური ფორმის კონსტიტუციური შეცდომების გამოკვლევა დღეს უაღრესად საჭიროა“,[7] მაშინ, როცა ედმუნდ ბერკის ღრმა რწმენით: უნდა „მივბაძოთ

BRAMS 2024 May
Volume 5, Issue 10
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

სიფრთხილეში ჩვენს წინაპრებს, თუ გვსურს მათი ბედი გავიზიაროთ ან შევინარჩუნოთ მათი დანატოვარი. რაღაც დავამატოთ, თუ ასე მოგვესურვება, მაგრამ ნუ დავკარგავთ მათ ნაანდერძევს. ბრიტანული კონსტიტუციის მყარ ნიადაგზე მდგომნი, მოდით, დავკმაყოფილდეთ დამკვირვებლის როლით და ნუ მივბაძავთ საფრანგეთის აერონავტთა თავგანწირულ საჰაერო ფრენებს“.[8] ედმუნდ ბერკი ის ბრიტანელი პარლამენტარია, რომელსაც „მეოთხე ხელისუფლების“ ზეწოდებას უნდა ვუმადლოდეთ ჟურნალისტები.[9] მან 1787 წელს თემთა პალატაში დებატების დროს სიტყვით გამოსვლისას ეს სიტყვათწყობა გამოიყენა საპარლამენტო რეპორტიორების მისამართით: „პარლამენტში სამი ხელისუფლება იყო, მაგრამ დარბაზის შორეულ მხარეს განთავსებულ რეპორტიორთა ლოჟაში წინა სკამზე გაცილებით მნიშვნელოვანი მეოთხე ხელისუფლება მოკალათებულიყო“.[10] მანამდე დასავლურ სამყაროში „მეოთხე ხელისუფლებაში“ იურიდიული სფეროს წარმომადგენლები იგულისხმებოდნენ. დღეს უკვე „ძველ მედიად“ ქცეულ პროფესიას ასეთი საპატიო წოდება იმის გამო მიენიჭა, რომ „იგი განასახიერებს საზოგადოების იმ სეგმენტს, რომელსაც პოლიტიკურ სისტემაზე ზემოქმედების არაპირდაპირი, მაგრამ გადამწყვეტი როლი აკისრია“.[11]

რაც შეეხება თომას პეინის 15 წლით ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომს „საღი აზრი“,[12] იგი სწორედ იმის დასტურია, რომ ჟურნალისტური სიტყვა, სათანადო დროსა და ადგილას გაჟღერებული, საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების გზით ეპოქალურ ცვლილებებს

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

უწყობს ხელს დიდწილად და, არცთუ იშვიათად, განაპირობებს კიდეც.

„საღი აზრიდან“ „ადამიანის უფლებებამდე“ 15-წლიანი პერიოდი მანამდე საკმაოდ უღიმღამო ბიოგრაფიის მქონე ინგლისელი პროვინციელი ახალგაზრდის აქტიურ ისტორიულ პიროვნებად გარდასახვის წლებია; ორი უიღბლო ქორწინებითა და კარიერის უდაბლეს საფეხურებზე სხვადასხვა უინტერესო პროფესიის წარუმატებელი ცვლით თავგაბეზრებული ახალგაზრდა ლონდონში ჩადის, სადაც საერთო ნაცნობის, მათემატიკოს ჯორჯ სკოტის მეშვეობით ბენჯამინ ფრანკლინს ხვდება. ფრანკლინის რჩევითა და მისი სარეკომენდაციო წერილებით გათამამებული პეინი 1774 წლის მიწურულს ემიგრაციაში მიემგზავრება ამერიკაში და ფილადელფიაში სახლდება. ასეთი არჩევანი, უთუოდ, შემთხვევითი არ ყოფილა: ამერიკის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი იმჟამად კონტინენტის პოლიტიკური ცხოვრების ეპიცენტრში მოექცა.[13] 1774 წელს აქ, კარპენტერ-ჰოლში ჩატარდა დიდი ბრიტანეთის 13-დან 12 ამერიკული კოლონიის (ჯორჯიის შტატის გამოკლებით) დეპუტატთა პირველი კონტინენტური კონგრესი.[14] დეპუტატებმა შეიმუშავეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომლითაც ცდილობდნენ კოლონიებისთვის თვითმმართველობის უფლების მოპოვებას. უკვე ორი წლის შემდეგ კი, 1776 წელს ცამეტი ჩრდილოამერიკული შტატის მეორე კონტინენტურმა კონგრესმა მიიღო დამოუკიდებლობის დეკლარაცია.[15]

მეორე კონტინენტური კონგრესი ფილადელფიაში 1775-1781 წლებში მუშაობდა და აშშ-ის დროებითი

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ხელისუფლების ფუნქციას ასრულებდა. 1776-1783 და 1790-1800 წლებში, საერთო ჯამში 18 წლის განმავლობაში, ფილადელფია ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქი იყო.

ფილადელფიურ ჟურნალ „პენსილვანია მეგეზინში“ 18-თვიანი რედაქტორ-ჟურნალისტური საქმიანობიდან თომას პეინი აქტიურად გადაერთო იმჟამინდელი რევოლუციური ამერიკის ბობოქარ პოლიტიკურ ცხოვრებაში.[16] ეს ხომ უმნიშვნელოვანესი პერიოდი იყო ამერიკის ისტორიისა: 1775 წლის 19 აპრილი... შეტაკებები ლექსინგტონსა და კონკორდთან; ბოსტონის ალყა, ბანკერჰილის ბრძოლა... დაძაბულობა ბრიტანეთთან სრულმასშტაბიან ომში გადაიზარდა.

1776 წლის 10 იანვარს თომას პეინმა გამოაქვეყნა 50-გვერდიანი პამფლეტი „საღი ზრი“,[17] რომლის პოპულარობა წარმოუდგენლად მასშტაბური გამოდგა. 500 ათასზე მეტი ეგზემპლარი გაიყიდა და, ლამის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ამერიკული კოლონიების ბრძოლის მანიფესტად იქცა. ავტორმა ჰონორარზე უარი თქვა და მთელი თანხა რევოლუციურ არმიას გადასცა.[18]

„საღი აზრის“ პათოსი მთლიანად დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ჟინით იყო გაჟღენთილი და უმთავრეს თეზისად რეფრენივით გასდევდა ფრაზა: „განშორების დროა!“[19] ავტორი შეუვალი პრინციპულობით გამოხატავდა საკუთარ პოზიციას, რომ: „შერიგების დოქტრინა“ მიუღებელია, ვინაიდან „შერიგება და დაღუპვა ტოლფასი ცნებებია“.[20] ნაშრომში თომას პეინს საამისო არაერთი არგუმენტი აქვს დამოწმებული. ამ ჟურნალისტური ნააზრევით მან

BRAMS 2024 May
Volume 5, Issue 10
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

შეძლო საზოგადოების დიდი ნაწილის დარწმუნება, მიმხრობა და საკუთარ პოზიციაზე დაყენება.

„საღი აზრი“ თომას პეინისეულად მეტად მტკივნეულ პრობლემას წარმოაჩენდა.[21] ამერიკის დამოუკიდებლობის შესახებ როცა საუბრობს, პეინი ზოგადსაკაცობრიო იდეალებსაც ითვალისწინებს და დაასკვნის, რომ: „ამერიკის საკითხი, დიდწილად, მთელი კაცობრიობის საკითხიცაა“.[22] შესაბამისად, არისტოტელეს პოსტულატი: „ჭეშმარიტი თავისუფლება არჩევანისა და გადაწყვეტილების მიღების უფლებაა“,[23] იდეური ღერძია თომას პეინის პამფლეტისა „საღი აზრი“. ახლა ძნელი სათქმელია, „კაცობრიობის მასწავლებლად“ აღიარებული ძველი ბერძენი ფილოსოფოსის შეგონებას ეყრდნობოდა თუ დამოუკიდებლად მივიდა ამ დასკვნამდე, ერთი ცხადია – ევროპული განმანათლებლობის პრინციპების გაზიარებამ თომას პეინი დაარწმუნა, რომ „ადამიანის ღირსეული არსებობა მის თავისუფალ არჩევანზე უნდა იყოს დაფუძნებული“.[24]

თომას პეინის არჩევანი რევოლუცია იყო. იგი თავის 50-გვერდიან ნაშრომში, პირველყოვლისა, აბსოლუტურ მონარქიას უარყოფს და აკრიტიკებს ბრიტანული მონარქიის მაგალითზე. ამასთან, „ყალბი შემრიგებლური პოლიტიკის წინააღმდეგია“.[25] „საღი აზრის“ ავტორი „შერიგების დოქტრინის“ მომხრეთა არგუმენტების უარყოფას ესწრაფვის და ღრმად სწამს, რომ ამერიკის შემთხვევაში, „შერიგება და დაღუპვა ტოლფასი ცნებებია“.[26]

თომას პეინი ინგლისთან შერიგების მომხრე ამერიკელებს რამდენიმე ჯგუფად ახარისხებდა:

1. სრულიად არასანდო, დაინტერესებული პირები;

BRAMS 2024 May
Volume 5, Issue 10
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

2. ადამიანები, რომლებიც ვერ ხედავენ მოვლენათა განვითარების ჭეშმარიტ არსს, დანახვა არ ძალუძთ;
3. ცრურწმენით შებოჭილნი, რომელთაც რეალობის დანახვა არ სურთ;
4. ზომიერნი, ვისაც ევროპული სამყარო იმაზე ბევრად უკეთესი ჰგონია, ვიდრე რეალურადაა.

თომას პეინის აზრით, ეს ბოლო კატეგორია უფრო მეტად დააზარალებდა ამერიკის კონტინენტს, ვიდრე პირველი სამი ერთად აღებული.

ნაშრომში ორი უმთავრესი თეზისია:

1. **აბსოლუტური მონარქია ბოროტებაა, იგი ბიბლიის საწინააღმდეგოა.** მონარქიის აღდგენის მოწინააღმდეგენი საქართველოში ხშირად იმოწმებენ თომას პეინის ამ მოსაზრებას, იმის გაუთვალისწინებლად, რომ აბსოლუტური და საკონსტიტუციო მონარქიები, ან – პარლამენტური და აბსოლუტური მონარქია სხვადასხვა რამაა. ისინი სოფისტური მსჯელობის გზით მიდიან, როცა ლოგიკური შეცდომები სიყალბის დამკვიდრებას უწყობს ხელს. კერძოდ, სოფისტური ხერხებიდან ისინი იყენებენ „ნაჩქარევი განზოგადების“ სახეობას.[27]

   როგორც უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე განმარტავს: საპარლამენტო მონარქიის პირობებში „მეფე მეფობს, მაგრამ არ მართავს“. მართავს პარლამენტი. ეს სრულიად სხვა რამაა და აბსოლუტური მონარქიისგან და იმ საფრთხეებისგან რადიკალურად განსხვავებული, რაზეც ანტიმონარქისტები კამათობენ.

BRAMS 2024 May
Volume 5, Issue 10
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

2. **ბუნების ძალთა ხმა ჩაგვაგონებს: „განშორების დროა!“**

საამისო არგუმენტებსაც უხვად იშველიებს ავტორი:

ა) თვით ის მანძილიც კი, რომელიც ყოვლისშემძლე უფლის წყალობით აშორებს ამერიკასა და ინგლისს, ჭეშმარიტი საბუთია ვირწმუნოთ, რომ ზეციურ ძალებს არ დაუდგენიათ ერთის ბატონობა მეორეზე;

ბ) ამერიკის კონტინენტის აღმოჩენა რეფორმაციას უძღოდა წინ. მაღალმა ღმერთმა დიდსულოვნად გაუწოდა დახმარების ხელი მომავალ დევნილებს და თავშესაფრის კარი გაუხსნა, როცა მათთვის სამშობლო აღარ იყო უსაფრთხოებისა და სიმშვიდის ნავთსაყუდელი.

თუ პარალელს გავავლებთ თომას პეინის ბიოგრაფიასთან, კარგად დავუკვირდებით მის გადაწყვეტილებებსა და არჩევანს ცხოვრების რთულ პერიოდებში, დავრწმუნდებით, რომ, როგორც ჩანს, ამერიკა და ამერიკელები უფრო ახლოს იყო მის სულთან, ვიდრე საკუთარი სამშობლო – დიდი ბრიტანეთი და მისი პრინციპები.

თომას პეინს ღრმად სწამდა, რომ: „დიდი ბრიტანეთის ძალაუფლება ამ კონტინენტზე არის მმართველობის ფორმა, რომელსაც ადრე თუ გვიან ბოლო უნდა მოეღოს. მმართველობის ეს ფორმა დროებითი და მიუღებელია...“[28] რის დასამტკიცებლადაც ავტორი ამგვარ მსჯელობას მიმართავს: „მცირე კუნძულები, რომელთაც თავის დაცვა არ ძალუძთ, ხელსაყრელ ობიექტებს წარმოადგენენ სამეფოებისათვის მფარველობაში ასაყვანად. ამ ფონზე ძალზე აბსურდულია იმის დაშვება, რომ კონტინენტი

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

იმართებოდეს კუნძულის მიერ. იმის ანალოგიურად, რომ ბუნებაში არ არსებობს პლანეტაზე უფრო დიდი თანამგზავრი და, ვინაიდან ინგლისი და ამერიკა ერთმანეთთან მიმართებაში ბუნების ჩვეულ წესრიგს თავდაყირა აყენებენ, აშკარაა, რომ ისინი განსხვავებულ სისტემებს განეკუთვნებიან“.[29]

თომას პეინის ცხოვრება პარადოქსების ფეიერვერკია. მას არც დიდება და პატივი დაჰკლებია, არც – დევნა და პატიმრობა. არაერთი პროფესია შეიცვალა, ბიუსჰალტერების წარმოებით დაწყებული, ჟურნალისტიკა-პუბლიცისტიკით, პოლიტიკითა თუ საინჟინრო-საგამომგონებლო საქმიანობით დამთავრებული. ომის შემდგომ იგი ხიდების მშენებლობის იდეითაც იყო გატაცებული და აშენდა კიდეც მისი პროექტით იმ დროისათვის ერთ-ერთი უდიდესი რკინის ხიდი ინგლისში. ძირითადად კი, პეინის გამოგონებანი განუხორციელებელ პროექტებად დარჩა.

როგორც ხშირად ხდება ცხოვრებაში, სიცოცხლის მიმწუხრს თომას პეინის ღვაწლი არათუ მიივიწყეს, არამედ ზომაზე მეტად შელახული იმიჯითა და შერისხულიც კი გააცილა მხოლოდ ექვსმა ადამიანმა უკანასკნელ გზაზე. გაზეთ „ამერიკის მოქალაქეში“ გამოქვეყნებულ ნეკროლოგში, რომელიც 1809 წლის 10 ივნისის ნომერში „ნიუ-იორკ ივნინგ პოსტმა“ გადაბეჭდა, პეინს „მსოფლიო მასშტაბის თაღლითი პოლიტიკოსი“ უწოდეს, რომელმაც „დიდხანს იცოცხლა, სულ ცოტა სარგებელი და ძალიან დიდი ვნება მოიტანა“.[30] მთელი საუკუნე დასჭირდა მისი სახელის რეაბილიტაციას და მხოლოდ 1937 წლის ლონდონური გაზეთ „ტაიმსის“ 30 იანვრის ნომერში მოიხსენიეს „ინგლისელ ვოლტერად“,[31]

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

რის შემდეგაც მყარად დაიმკვიდრა კუთვნილი ადგილი ამერიკული რევოლუციის შემოქმედთა შორის. ისევ ძველმა სამშობლომ დააფასა და აღიარა პირველმა მივიწყებულ-გადაფასებული ამერიკელი რევოლუციონერი.

ლიტერატურა ▫ References

1. Paine, Thomas (2020). *The essential Thomas Paine collection: Common sense; The American crisis; Rights of man; The age of reason*. 1st Edition printed and sold by W. & T. Bradford on February 14, 1776; independently published.
2. Burke, Edmund (2009). *Reflections on the Revolution in France*. Oxford: Oxford University Press.
3. Levin, Yuval (2014). *The Great Debate: Edmund Burke, Thomas Paine, and the Birth of Right and Left*. New York, NY: Basic Books.
4. Brown, Nat (2013, December 3). Edmund Burke v. Thomas Paine: Yuval Levin traces the modern Left and Right to the debate over the French Revolution. *National Review.*
5. Hagist, Don N (2014). *British soldiers, American War: Voices of the American Revolution*. With drawings by Eric H. Schnitzer. Yardley, PA: Westholme Publishing, LLC.
6. Vorster, J. M. (5 November 2018). The doctrine of reconciliation: Its meaning and implications for social life. In die Skriflig 52(1), a2367. <https://doi.org/10.4102/ids.v52i1.2367>
7. Paine, Thomas (2020). *The essential Thomas Paine collection: Common sense; The American crisis; Rights of man; The age of reason*. 1st Edition printed and sold by W. & T. Bradford on February 14, 1776; independently published.
8. Burke, Edmund (2009). *Reflections on the Revolution in France*. Oxford: Oxford University Press.
9. Nadare, Maia (2020). *The media mill: Political communication*. Tbilisi: Publishing House Universal (In Georgian).

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

10. Ibid.
11. Ibid.
12. Paine, Thomas (2021). *Common sense: The origin and design of government*. Asturias, Spain: Entreacacias, SL.
13. Baggett, Geoff (2023). *Virginians and Continentals: Patriots of the American Revolution series, Book 7*. London, UK: Cocked Hat Publishing.
14. De Graff, Dachi (2022). American thoughts over Mtskheta and Philly. *BRAMS*, 3(3/4), Tbilisi (In Georgian).
15. Darnell, Tony (Ed.) (2017). *The Declaration of Independence, The United States Constitution, The Bill of Rights & Amendments, & other historical documents*. 12th Media Services.
16. Middlehauff, Robert (2005). *The glorious cause: The American Revolution, 1763-1789*. New York, NY: Oxford University Press.
17. Paine, Thomas (2020). *The essential Thomas Paine collection: Common sense; The American crisis; Rights of man; The age of reason*. 1st Edition printed and sold by W. & T. Bradford on February 14, 1776; independently published.
18. Foner, Ph. S. (2004). Thomas Paine. In: *Encyclopaedia Britannica* (Vetimate Reference Suite). Chicago: Encyclopaedia Britannica.
19. Paine, Thomas (2021). *Common sense: The origin and design of government*. Asturias, Spain: Entreacacias, SL.
20. Ibid.
21. Kiger, Patrick J. (2021, June 28). How Thomas Paine's 'Common Sense' helped inspire the American Revolution. *History*.
22. Paine, Thomas (2014). *The age of reason: The definitive edition*. Grand Rapids, Michigan: Michigan Legal Publishing Ltd.
23. ტყებუჩავა დიანა (2020). მედიატექსტის ბუნება. თბილისი: „უნივერსალი".
24. Paine, Thomas (2020). *The essential Thomas Paine collection: Common sense; The American crisis; Rights of man; The age of reason*. 1st Edition printed and sold by W. & T. Bradford on February 14, 1776; independently published.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

25. Ibid.
26. Ibid.
27. ბალანჩივაძე რევაზ, ტყებუჩავა დიანა (2020). კრიტიკული აზროვნების საფუძვლები. თბილისი: „უნივერსალი“.
28. Paine, Thomas (2021). *Common sense: The origin and design of government*. Asturias, Spain: Entreacacias, SL.
29. Ibid.
30. Thomas Paine's obituary. (1809, June 10). The New York Evening Post. Retrieved from <https://web.archive.org/web/20160119115818/http://www.classicapologetics.com/special/PaineEP.06-10-1809.pdf>
31. Foner, Philip S. (2023, December 29). Thomas Paine. In: *Encyclopedia Britannica*. (Vetimate Reference Suite). Retrived from <https://www.britannica.com/biography/Thomas-Paine>
32. History.com Editors (2023, April 6). Thomas Paine. *HISTORY*. A&E Television Networks. Retrieved from <history.com/topics/american-revolution/thomas-paine>
33. Kohl, Lindsay (2023, March 2). Defining the natural rights of man: An analysis of Burke, Paine, and Wollstonecraft. *Explorations*. University of North Carolina Wilmington.
34. Montanye, James A. (2014). Book review: The great debate (2014), by Yuval Levin. *The Independent Review*, 19(2), Fall.
35. Smith, George H. (2014, April 25). Thomas Paine versus Edmund Burke (Part 1). *Libertarianism*. Retrieved from <libertarianism.org>
36. Smith, George H. (2014, May 2). Thomas Paine versus Edmund Burke (Part 2). *Libertarianism*. Retrieved from <libertarianism.org>
37. Thomas Paine Society. Retrieved from <thomaspainesociety.org>

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)